კვირა, 6 თებერვალი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 5 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

## ᲕᲘᲛᲜᲘ.

ველტვი მაღალ-მთას
ზეფირი მცემს ფრთას,
მხიბლავს ტიალი
ფოთოლთ შრიალი.
თხემი აძლევს ხმას
ობოლ გულის-თქმას,
სულს სწვავს ვით ალი
ჩრდილი მიმქრალი.

—

სურვილთ სამარე
დავაგდე მხარე,
გავლიე ძნელი
ცხოვრების ველი.
გზას მონარნარე
მინათებს მთვარე,
ვერ მაკრთობს ბნელი,—
განთიადს ველი!

ბუნებამ მშობა
მისი მაქვს გრძნობა,
რაც ვპოვე მარგი
შიგ გულში დავრგი.
უარ-ვყავ მტრობა
სიცუდის ცნობა,
მე მიყვარს ჩანგი, —
ისმინეთ ჰანგი!

—

როს ვანდობ ყურსა
ხმებსა ციურსა,
ვით მწუხრის ზარი
მომკვნესის ქარი,
ფრთას შლის ოცნება
სისოცხლის ენება,
ჰიმნად ამდნარი
მღერს ჩემი ქნარი!

**ნ. ჩხიკვაძე.**

---

## საბრალო ბებუა.

III.

ამისი ცოდვა მიეცა,
ვინც ეს ჩააგდო ამ დღეში:
მოხუცს პატარა გიგოლი
ჰყავს ერთად ერთი ნუგეში;
ამის განსწავლას ჰფიქრობდა,
სურდა მიცემა სკოლაში,
იტყოდა: ,,სწავლა ხმალია
ამ ცხოვრებასთან ბრძოლაში!''

სწავლის დაწყებას ელოდა,
დღეს-დღეზე სთვლიდა მიყოლით, —
აგვისტოს დამლევს ჩავიდა
ქალაქში თავის გიგოლით;
მაგრამ მას უთხრეს: რა გიყოთ,
ადგილი არ გვაქვს კლასშიო!
თუ მოგგვრი, მაგას მივიღებთ
უეჭვოდ იანვარშიო!..

ეს იანვარიც დაუდგა:
ქალაქს ჩავიდა ზალიკო;
ნახა: უფროსი სკოლისა
აივანს გადმომდგარიყო,
უფროსს ამათი დანახვა
რომ არ სწყენოდეს, არ იყო,
ეს შეამჩნივა მოხუცმა
და ცოტა შეკრთა ზალიკო!

წამოიჩოქა, შეჰვედრა:
„მოიახლოვე ღმერთიო:
„ჩე ს მოხუცებს იმედად
„ეს დამრჩა ერთად ერთიო,
„ნუ დამიტოვებ უსწავლელს,
„მიიღეთ გიგა კლასშიო,
„სწავლა სწყურია, მასზედ სწუხს,
„ვერ დავაკავე სახლშიო!“

მაგრამ არ გასჭრა ვედრებამ,
ვერ მოალბუნა ქვა გული,
უარი უთხრეს .. სდგას ზაალ,
სევდით გონება დაბმული.
ფიქრობს: რა ღმერთის წყრომაა:
სულსა გვხდის ხარჯთა კრებაო!
თუ სკოლებისთვის არ უნდათ,
მაშ სად ჯანდაბას ჰქრებაო?!

კვლავ ევედრება: „ნუ დამკლავ,
დამყევ თხოვნაზე ნებასო:
ბავში მიიღე!.. პატივ ეც
ამ ჩემს ღრმა მოხუცებასო!“
მაგრამ უფროსმა დაჰბღავლა:
— გასწი, შე მაწანწალაო!
თავსაც მაბეზრებს ქოფაკი,
ხედავთ, მოსწყურდა სწავლაო!“

და გამოაგდეს ზალიკო...
დარუნდა უკან ბედ-კრული,
თან მოჰყავს თვისი გიგოლი,
თვალ ცრემლიანი, მოკლული.
გზაში ქარ-ბუქი აუტყდათ,
თოვლი მოვიდა მაღალი
და მრავალ-ტანჯულ მოხუცსა
დაატყდა ჭირი ახალი.

IV.

მოდის მოხუცი... ღამე კი
უფრო და უფრო ბნელდება,
ქარი კვლავ ძალზე გაჰკივის,
თოვლის გვას აღარ სჯერდება,
მიწასაც იღებს ბუჩქსაც ჰგლეჯს,
უძალესია მეხზედა,
ქვებს აყრის პირში შალიკოს.
აღარ აყენებს ფეხზედა. .

ვაიმე! მოხუცს ქალმები
ფეხზე სულ შემოსცვეთია,
ოფლი ყინულად ქცეულა,
მკერდით რომ ჩამოსწვეთია,
ჩამოხევია საყელო,
გაშიშვლებია გულ-მკერდი...
ფუი, შენ ბედო, თუ მშრომელს
ამ გვარ მწარ ბოლოს უწერდი!..

ღონე აღარ აქვს საძრავად,
ბუქისგან სული გუბდება
ფორთხავს და ფეხზე ვერ დგება,
უცბად რომ გადაბრუნდება;
ყინვამ გათოშა ძარღვები,
წარბებსაც ყინვა ჰკიდია
მაჯა შესუსტდა... მკვდარია,
თუმც სული პირში კიდია.

სადღაც ძველ თხრილში ჩაყუდდა,
გულში ჩაიკრა გიგოლი,
ტანზე გაიძრო სამოსი,
მითი შეჰბურა ობოლი,
თვითონ კი დარჩა ტიტველა,
დარჩა პერანგის ამარა;
ოღონდ გიგოლი გადარჩეს,
სხვა იმას არა ჰგამა-რა!

გრიგალი ღმუის, ცა ჰკვნენის,
ჰქოთავს და სტირის მიდამო,
მხეციც სოროში იძუძგვის,
გავლას ვერ ბედავს მის გამო;
ჩიტიც კი ბედნიერია,
მასთვის ჯაგები მზად არი,
მხოლოდ ჭირ ნანახს ზალიკოს
არა აქვს არსად საფარი!

ზის უმოძრაოდ ძველ თხრილში,
გიგოლი გულში უკრია,
დალურჯებია მკლავები,
თავი ძირს გადაუხრია;
რაღაც უგრძნობლად გამხდარა,
უსიტყვოდ გარინდებულა,
ბეჭზედ გამსკდარა პერარგიც,
ნაფლეთად გადაგდებულა.

მაგრამ სიცივეს ველარ გრძნობს,
მძლედ ეკიდება თვალს ძილი,
წინ ელანდება ჩვენება,
რაღაც გრძნეული აჩრდილი;
ფერად სიზმრებში დაფრინავს,
ხედავს ტკბილს ედემს-სამყაროს,
აქ არ სჭირდება ოფლის ღვრა,
აქ უკვდავების სვამს წყაროს...

**ცახელი.**

(დასასრული იქნება)



# სასაფლაოზე

(ს

საფლავის ლოდი ნამტვრევებად ქცეული ეხლა სდუმდა; მხოლოდ ღამის ყრუ იდუმალებაში კიდევ ვისმენდი ხმებს იდუმალ ხმებს, რომელნიც აკვნესებდენ ნორჩ გულის სიმებს.

— ადამიანო! გულს დაიქდიე ჩვენი სიტყვები, საფლავის ლოდები არას დროს არ სტყუიან; ჩვენზედ უფრო ცივია თქვენი გული, თქვენ გულში ჩაიფერფლა გრძნობა ჩაჰქრა თავისუფლების კანდელი, გამოიგლოვე ადამიანო შენივე თავი ჩვენც ვიტირებთ, ჩვენც საფლავთა ლოდები.

— ადამიანო გულს დაიქდიე ჩვენი სიტყვები, საფლავია ლოდები არას დროს არ სტყუია, ღამის ყრუ იდუმალებაში მოსთქვამდა იდუმალი ხმა.

**ტ. ტაბიძე.**

---

# პატარა ფელეტონი

**რეცეპტები.**

ცუდი დრო უდგას ქუთაის-ქალაქს,
თოვლში ჩაფლულა... დაბურულია...
ქუჩებში ისმენთ ლაყბობა-ლაქლაქს,
აზრი, გონება გაყინულია.
საზრდო-საკვები გაძკირებულა,
შიმშილით ზურგზე მიკვრია კანი,
ვირთხა-თაგვისგან კუდ-წატკვერილი
მანეთად ფასობს ერთი ტარანი.
ცუდ აღსასრულის მოლოდინითა
გარემო, შიშით გარინდებულა,—
თვითმმართველობის კასასა შინა
„სიცალიერე“ გამეფებულა.
თანაც მამად რომ კაცი აფიცეს,
აღარ გამოდგა... უარი სტკიცეს.
სამეცნირო ნაგვის მქექავი
სხვა ვერა ჰპოვეს,—გაპირდა თავი!..
და... ჰა, ვინც არი ერი, ბერია,
ცხვირი სათაოდ აუღერია.
გახურდა მიგზავნ-მოგზავნილობა,
ხმოსანთ წინაშე დაღრეჯილობა.
მადა აშლია კალისტრატესა,
ზუთხებს დაუკვეთს სალიანელებს,
ას ფუთ ძველ ფარგას ტიღურაძესა,
ბუნებრივ ღვინოს, ქებულ ბზვანელებს.
მაგრამ თუ რითმე საქმე წაუხდა
დაქადებული აღარ აუხდა,
მე წინ და წინვე სტვირზე დავუმღერ,
და ამნაირსა რეცეპტს დავუწერ:
„— თუ ექმნას გულზე შემოყრილობა,
დააწყებინოს ცივად ცანცალი,
მაშინ მიირთვას ყოველ საათში
ოც-ოცი წვეთი, ლაღიძის წყალი!
გულს გაუგრილებს, „პირს გაუტკბილებს,
ზიანს ცოტათი ააცდენს კბილებს,
მარგებელია ვითა წამალი,
სურნელოვანი ლაღიძის წყალი
ოდეს განქარდეს დაღრეჯილობა,
და გაგრძელოს კვლავ ვექილობა,
მაშინ მიიღოს პატივის ნიშნად
ეგ წინასწარი ენა ტკბილობა!
ეს უკან თუ კვლავ თვითმმართველობას,
არ შეეძინოს თავის*) ბახალი,
იმნაც იგივ გაიმეოროს:—
ოც-ოცი წვეთი ლაღიძის წყალი!
ამ დროს თაგუნას მილოცვისამებრ,
წამოეწევა დიდი ნამქერი,
და ნახეთ ნაკურთხ რიონსა ზედა
მიტივტივობდენ თივა და ქერი.
ყველას პირდაპირ ფოთში ჩაიტანს,
ნაგვი სანაგვეს შეუერთდება;
მტკიცედ გეჯეროდეს ჩემო მკითხველო:
ხშირად შემთხვევით საქმე კეთდება.
ნიკო მიხედავს მოვლენას ამას,
(ვალად აძევს ეს ქალაქის მამას!)
მიქექ მოქექავს მსუქან ნაგავსა
და უეჭველად გამოჩეკს თავსა!
(მაგრამ დრომდე-კი გენაცვალებით
ნურვის გაუმხელთ ამა ამბავსა.)
როს დააკურთხონ ბახალი იგი,
თვითმმართველობის კასას ჭკრას დინგი,
მაშინ-ღა დაფრთხენ ქუთათურები,
გამოიფხეკონ კარგად ყურები.
აქაც თუ ისევ მოხდეს აბრუნდი,
უთავოდ დარჩეს ხმოსანთა გუნდი,
გარდაივიწყონ ენა-ავობა,
ზდანოვიჩს სთხოვონ ჩოქვით თაობა,
და თუ თანხმობა მან გადასწყვიტა,—
იმის ძველ ტახტზე შესკუპდეს კიტა.
მაშინ ვემსგავსო წინასწარმეტყველს,
ადარ გაცუდდეს ეს ჩემი სიტყვა:
სრული სიცხადით წარმოევლინოს
გიორგის—თავი, კიტას—შავი ქვა!
(ესეც ჩვენ შორის დარჩეს დრომდინა
არ გაამხილოთ რაც ჩუმად იაქვა!)
სამკითხველოსას სულ ნურას მკითხავთ,
ბოროტნი სულნი შეჰკედლებიან,

*) აქ სწორედ თაგვი უნდა მეხმარა
მაგრამ ტერმინი არი ახალი...

შევლენ მკითხველნი თავიანები,
ლკან — უთავოდ დაბრუნდებიან.
საოცარია სურათი იგი,
შიშისა ქარი სულს შეგიფრფინებს;
გამოდის კაცი და ხელავ რომა
მხოლოდ კისერსა მოაჩიკინებს.
იღლიაში კი, ვით დიდი ბურთი
გამოუგუდავს შილლერის თავი,
ერთსაც გიოტე, სხვას—ბაირონი,
აგერა შოთა... ახ, საცოდავი!
წარმოიდგინეთ, იმ უსინდისოთ
ქართველი თავიც არ ეზოგებათ!
(ეჰ, წახდა საქმე! ვინმე ეს ფერი
ეს-დეკს შესწამებს ერის აგდებათ!)
დაჰკრა საათმა...ეჰ ჩემი მუზა
ძალის-ძალ უნდა გავამასხარო,
უცნობ, უთავო ადამიანებს
ლექსად მივმართო, შევემუდარო:
„— მეგობრებო, ნუ ინებებთ,
ცეცხლი ნუდარ წაგვიკიდე,
ჩვენებმა რომ არა გვითხრან
არ შეგვარჩენს სხვები კიდე.
საბერძნეთით შოთა სწერება,
ინგლისიდან ბაირონი,
პუშკინი მთლად ბრაზით კვდება,—
აგვიტყდება ცხარე ომი
და თუ მართლა სიცხისგან გაქვთ
გული, გრძნობა განაალი:
გადაჰკარით, ლაღიძისა
ხილეულის ტკბილი წყალი!
აწ მუზავ კმარა! სული ჩავითქვათ,—
ცუქმა შიშილით იწყო ცანცალი,
ორემ რეცეპტი ვეღარ მოგვარჩენს,
რც გვეღირსება ლაღიძის წყალი!

**დემონი**

---

# მაგონდებოდა!

ვნახე ობოლი
მჭკნარი ფოთოლი,
ღილის ცრემლები ეპკურებოდა,
და ის ცრემლები
დანამშვენები,
სხივთა ციალით ვერცხლად ნენობოდა!..
მე ჩანგს დავმღერდი... ჩემი ფოთოლი
სიცოცხლით ჰფეთქდა, აღარ სჭკნებოდა,
მით ნეტარობდა გრძნობა ობოლი,—
სიცოცხლის სხივი შორით ჰკრთებოდა.

ვიღაც ზღვის პირას დაფიქრებული,
ქვეყნის მნათობი მზე ჩადიოდა,
მდელო კვნესოდა დაობლებული
ბლოვით შემოსილს ცრემლი სდიოდა,
ვარდი სტიროდა არეს შეჭკობი,
ტურფა წალკოტი იცრემლებოდა,
აგონდებოდა სმენის დამტკბობი
ტრფობის ჩიტუნა... ერთხელ მღეროდა!..
— ვიდექ მარტოკა.. ტალღას ვუცქერდი
ზვირთი ტოკავდა, არ იღლებოდა,
დიად ზღვის სურათს გულზე ვიწერდი,—
— ჩემი იმედი მაგონდებოდა! .

* * *

ნაპირს გადაცდა ზვირთი დიადი,
ცრემლთ ნაკადული იშრეტებოდა,
ქვეყნის ვაება-სევლა და დარდი,
ტალღებს მიჰქონდა, არ ჩერდებოდა—
— ვიდექ ზღვის პირას, ზვირთებს ვიხმობდი
ტალღები ტალღებს ეკონებოდა,
დიად სურათით გულ-მკერდს ვიმკობდი,
— კვლავ ჩემი სატრფო მაგონდებოდა! .
მაშ, გასწი ტალღავ, მოძებნე ქვეყნად
შენებრ მედგარი, შეუპოვარი,
შენთან ვიქნები მეც განუყრელად,
შენი გრთგული და მეგობარი!..

**გელა.**

---

# უკანასკნელი ვიზიტები.

**მცხეთა 25 იანვარი.**

სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი საარაკო სურათები ვნახე მცხეთის სადგურზე: ჯერ ერთი გადმოვდგი ფეხი თუ არა ბაქანზე წინ ამეყუდა ვაღაც დიდ ცხვირა კაცი და კბილები დამიჩრჭიალა, თვალები დამიბრიალა და თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, არ მომეწონა მისი სახის მოხაზულობა. ძალიან დავინტერესდი გამეგო ვინ იყო ეს დევ გმირი. როგორც შემდეგ გავიგე, თურმე სადგურის უფროსი იყო. როცა დასტკბა ჩემი მზერით შემოტრიალდა და თავის ხელ ქვეითებს დაერია. ზოგს დაუყვირა, ზოგს თვალები დაუბრიალა და გასწია თავის ოთახში. დღეს დილით კარგა გათენებული არ იყო, როგორეთ გამოვედი. ჩემს თვალებს დაუჯერებელი სურათი წარმომიდგა თვალ წინ. სადგურის წინ ნავთის აუზებს მიდგომოდა რამდენიმე არჩდილი და იბერებოდენ ნავთით. ისე გამიკვირდა ეს ამბავი, რომ ვერც კი გავბედე მეკითხა ვინმესთვის. დღეს აქაურმა ვაჭრებმა სადილი გამიმართეს. დიდათ პატივი მცა მებუფეტემ. არ ვიცი ჩემი პატივისცემა უნდო

დათ, თუ შეეშინდათ გაზეთში არ ჩამაგდოსო. ასეა თუ ისე კარგა ლაზათიანათ გამოვძეხი და გორისკენ მივექანები.

**გორი** — 26 და 27 იანვარი. ჩემდა საბედნიეროთ მცხეთაში ნაცნობი კონდუქტორი შემხვდა, სკამს ქვეშ აღარ შევუძვრენივარ ისე ჩამიყვანა გორში. მატარებელი ისე ზლაზნით მიდიოდა, რომ მესამე დღეს ძლივს მივახწიე. სთოვს. იმოდენა თოვლი მოსულა, რომ გორს იქით შეუძლებელია წასვლა. გადავსწყვიტე რამდენიმე დღე აქ დავრჩე, სანამ გზა გაიწმინდებოდეს. ბათუმისკენ მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. გორის სადგურზე ქალაქის მამები გამომეგებენ ვერ წარმომიდგენია, როგორ გაიგეს წინდაწინ ჩემი ჩამოსვლა. ესეც შესაძლებელია, რომ მუდამ ასე ხვდებიან ყველას. ახალი ხმოსნები ძველი თავით“ ჩარაზმული დამხვდა სადგურზე. მოწიწებით სალამი მომცეს და ქალაქისკენ მიმიპატიჟეს. მეც უარი ვერ ვუთხარი და გავსწიეთ.

მეტათ თვალის წარმტაცი და ლამაზი სანახავი ყოფილა ჩვენი კურთხეული გორი. თუ კი სადმე რაიმე ღვაწლი მიუძღვის ქალაქის „მამებს“ ამ მხრით გორის მამები პირდაპირ ჯვარ-მენდლებზე წარსადგენი ხალხია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ აიღეთ თუ გინდათ ქალაქის უმთავრესი ქუჩა. ღამე, რასაკვირველია, ასეთ ქუჩაზე მხოლოდ თავდადებული კაცი გაივლის და ‖დღისით თუ დაგამთქნარა გზაში ან ვინმეს დაელაპარაკე და უცბათ წინ დაუხედავთ ფეხი გაუდგი, მშვიდობით, აუცილებელია კისრის მოტეხა. აქაური ხალხი ისე შეჩვეულია ამ ამბავს, რომ მეტი არ შეიძლება. მამები მეტათ მომთმენი ხალხი ყოფილან. უნდა ‘გეყურებინათ როგორ პანტასავით ცვიოდენ ორმოებში და ხმასაც არ იღებდნ. ისე დავიმტვრიე გვერდები ქალაქის სამმართველოსთან მისვლამდე რომ ორი დღე არ ამდგარვარ. დღეს მესამე დღეა, რაც წამოვდექი, დავსწყევლე აქაურობა, როგორც იქნა გავედი სადგურზე და ქუთაისისკენ მივექანები.

**ქუთაისი** — 4 თებერვალი. მეექვსე დღეა რაც საავთმყოფოში ვწევარ. რაც მე გორიდან ქუთაისამდე გადამხდა ენით აუწერელია. მოგეხსენებათ, რომ აქეთ დიდი თოვლი ძევს, დიდი ბედნიერებაა ერთი სადგურიდან მეორემდე ისე მიხვიდე, რომ მატარებელი არ აგორდეს. სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენ მატარებელს, გაივლიდა თუ არა რამდენიმე ვერსს წამოგორდებოდა. უნდა გენახათ რკინის გზის ადმინისტრაცია რა ამბებში იყო, დაეხვეოდენ ბუზებივით მატარებელს და სამი ოთხი დღის შემდეგ ძლივს ააყენებდენ. ასე გორვით და კოტრიალით მივაღწიეთ რიონის სადგურს. აქ სამი უღელი გათქვირული კამეჩები შეგეხვდა, საჩქაროთ გაუბეს მატარებელში და ელვის სისწრაფით გავექანეთ ქუთაისისკენ. ერთი ვერსი არ გაგვეველო, რომ ჩვენი კამეჩები უცბათ დაფრთხენ, აქეთ იქით გაიქცენ და მატარებელიც გაჩერდა. შიშით გულები კინაღამ დაგვისქდა, გვეგონა რაღაც უბედურობას წავაწყდით, ყველანი გარეთ გამოცვივდენ. ჩემს თვალებს შემდეგი სურათი წარმოუდგა: ორთქლ-მავალის წინ თოვლში განართხულიყო ჩვენი ჟურნალის მოყიალე თანამშრომელი „დემონი“, ცხვირი თოვლში წაერგო და ეგდო უსულოთ. თავში ხელი შემოვიკარ და კინაღამ დავიყვირე. მეგონა მკვდარია მეთქი. ვიღაცაც ფეხში ხელი სტაცა და ‖ამოათრია. თოვლიდან. ის ნელა ფეხზე დადგა და გაიღიმა. გამოირკვა, რომ წმინდა კირილეს დაეთრო ქუთაისში და ფეხით წამოსულიყო რიონამდე, გზაზე თოვლს დაეჯორგა და წაქცეულიყო გავფერთხე, არაყი გადავაკვრევინე, მოვიყვანე რიონში. და ბათუმიდან მომავალ მატარებელში ჩავსვი და გამოვეზავნე. ეხლა უთუოდ მანდ იქნება. რის ვაი ვაგლახით მივახწიე ქუთაისის სადგურს, სადგურზე მხოლოდ მარტო კალისტრატე შემომხვდა, სალიანიდან ზუთხს და ფოთიდან ფარგას ელოდა. ამ ვაი ვაგლახში ძალზე გავცივდი და ფილტვების ანთება ვიშოვნე. ‖ ორი დღეა რაც საავთმყოფოში ვწევარ. მოვლას ნუღარ იკითხავთ, თუ გადავრჩი ეს რაღაც სასწაული იქნება. ჩემი ყოველდღიური სადილი არის პორცია შეშა და ორი სტაქანი გამდნარი თოვლის წყალი, მარა ისე ცეცხლი ეკიდება ყველაფერს, რომ მგონია სულიც დავტოვო აქ. პორცია შეშაში მანათს მახდევინებენ და თოვლის წყალში აბაზს. ამინდები სამაგალითოა, ასეთი ხმელი ‖ზამთარი აქაურებს ჯერ არ ახსოვთ. თოვლის წყალი იმიტომ გაძვირდა ასე, რომ თოვლის მოსატანათ ბახმაროზე მიდიან ისე უკიდურეს მდგომარეობამდე მივედი, რომ საბოლოოდ გადავსწყვიტე აქ ამ საავადმყოფოში შევსწყვიტო ჩემი ვიზიტები და თუ ცოცხალი გადავრჩი და ამოვედი თფილისში, აღთქმა მაქვს დადებული ერთი ჭედილა უნდა დავკლა და ‖ძღვდელს ‖ვაწირვინო. გიგზავნი ამ უკანასკნელ ამბებს.

**ბურნუთი.**

---

## წითელი ოთახი.

(ღიღინი)

თავისუფალ სიყვარულს,
ვინ დაუკეტს გულის კარს?
გრძნობ უზომო სიხარულს,—
ბნედა მოგდის კოცნით მტკბარს...

მაგრამ ძვირად ჰპოვოთ დღეს
ამნაირი ოჯახი,
და მიტომ მოიგონეს
აქ „წითელი ოთახი“.
შეგროვდენ გოგონები,
სწორედ ვარდის კონები,
თანაც გემნაზისტები,
ტან-წერწეტი ბიჭები.
აგი ამას — ის იმას —
კოცნა მტლაშა-მტლუშები,
ფუნთუშა გემნაზისტკას
მთლად დასკა ტუჩები.
მაგრამ უკან არ იხევს, —
(ან რა ასატანია?)
ერთ სულიკოს კი არა
ოცსაც ეტრფის ტანია!
დღე ღამეს სცვლის, ღამე დღეს,
ტრფობის ალ-მოდებულნი,
ეძლევიან სიამეს
ერთ-ურთს ჩაკონებულნი.
სწავლა გარდაივიწყეს, —
რათ უნდათ მდიდრის შვილებს?
სულ სხვა სწავლა დაიწყეს,
გაუტოლდნენ ყმაწვილებს
მაგრამ ვაი!.. იპოვეს
ეს „წითელი ოთახი»..
ყველანი დაითხოვეს, —
ასტყდა ზარი ვაგლახი.
ეჰ, ეს მოაქვს აღკრძალულს
თავისუფალს სიყვარულს!

**ტლინკაძე.**

---

## ძოგონება.

ღელავდა მკაცრათ ზღვა გულ-ხვიადი,
ტალღა ტალღაზედ გადადიოდა
და მის უფსკრულით ამონაბრგვინვი
მრისხანებისა ხმა მოდიოდა.
მის ნაპირს გემი წყნარის რხევითა
აჰა საცაა სწყდებოდა ნაპირს,
ეზიდებოდა ტანჯულთ გულის თქმას,
იმათ ვარამს და იმათ გასაჭირს.
სდუმდა ბუნება. ეძინა ქალაქს,
ვით ღამის მეხრეს დაღლილ-დაქანცულს;
მხოლოდ გუშაგი, ღამის გუშაგი
მოწმობდა ტანჯულთ ბედის აღსასრულს.
ჩუ! ხმა მთრთოლვარე, მოესმა ყურსა,
ხმა გულ საკლავი გულ-გასაგმირი,
კვლავ მშვიდობითო, გაიძახოდა
მედგრათ, უშიშრად, მებრძოლი გმირი.
,,ცხოვრება ზღვაა და მეც ვითა ზღვა
უნდა ვებრძოლო მწარე ცხოვრებას ..
როს მეც ზღვასაებრ ვიბრძვი და ვდრტვინავ,
მხოლოდ-ღა მაშინ ვგრძნობ ნეტარებას.
მე ასე ბრძოლით, შფოთვით და დრტვინვით
მედგრათ გადვივლი გოლგოთის მთასა;
ვერ შემაშინებს მტრისა მახვილი,
ფრთებს არ შევაკვეც წემ გულის თქმასა.
სთქვა და მსწრაფლ გაჰქრა, გაუჩინარდა,
მოსწყდა ჩემს ბეჩავ გულს მეგობარი...
დავრჩი უკონოთ, შეძრწუნებული,
სულიერ ობოლი და გულით მკედარი
ოჰ, რა მწყუროდა — უკანასკნელათ
მეც საპასუხოთ გამეხსნა გული,
შუა გამეყო ძმა - მეგობრისთვის
ტანჯვა, ვაება და სიჩარული!
მაგრამ ამოოთ... მწარე გულის თქმა,
შხამათ და ნაღველათ გულშივ მრჩებოდა,
და ულმობელი ზღვისა ტალღები
გემსა მისდევდა, გარს ასკდებოდა.

**დარია ახვლედიანი.**

---

## რ ო მ ა ნ ს ი.

ოჰ, რომ შემეძლოს მოვნახო მხარე
ჩემო სულის დგმავ, სადაც შენ სუფევ,
ვღარ დამძლევდა მაშინ სამარე
ობოლ მგოსნისა ობოლ სულის ტყვევ.
სიმთ-შეთანხმებით ჩანგსა გიჟღერდი,
მარად გიმღერდი, მარად გიმღერდი!

ზე-აღმადგენდა ერთი დანახვა,
უკვდავებისას დავშრეტდი წყაროს,
ფრთებს შეისხამდა სურვილი, ზრახვა, —
კოცნით დაგწვავდი ჩემ სანეტაროს.
ცა გარდამქნიდა ლოკვათ, მუდარად,
გიმღერდი მარად, გიმღერდი მარად!

ვარდი რომ იყო წითლად გაშლილი,
გარდვიქცეოდი ჩიტად ბულბულათ,
შემიფარებდა ეკლისა ჩრდილი, —
შენთან დავლევდი დღეებს ქურდულათ.
სანამდის სუნთქვას შესძლებდა მკერდი
მარად გიმღერდი, მარად გიმღერდი!

სად ხარ არ ვიცი... ვერ გპოვე, ვერა!
არც წამის შვება, არც სიყვარული...
უნუგეშოა ჩემი სიმღერა, —
უქმად რბის, უქმად, სიცოცხლე კრული.
ეჰა, ღვთაებავ! გავხდი მწირი მე,
შენთვის ვსტირი მე, შენთვის ვსტირი მე!..

**ნ. ჩხიკვაძე.**

# კვირიდან კვირამდე.

რომ ჩვენი ქალაქისთანა ბედნიერი მთელ დედამიწის ზურგზე არც ერთი ქალაქი არ იქნება, ამას დიდი დამტკიცება არ უნდა. არც იმ მიზეზებს უნდა დიდი კვლევა-ძიება, რომლების წყალობითაც ასე ბედნიერია ჩვენი ქალაქი. მოგეხსენებათ, რომ ყველა ქალაქს, სადაც თვითმმართველობაა შემოღებული, ყავს მამები. მაგრამ მამებიც არის და მამებიც. მამები მშრომელნი, მამები ქალაქის საქმეებისთვის თავდადებულნი, მამები დაუღალავი, დაუზარელნი—ეს მხოლოდ თფილისს ჰყავს. ამით მხოლოდ მარტო ჩვენ თფილისს შეუძლია იამაყოს. თავდადებულად შრომობენ ჩვენი მამები, ყოველ ორშაბათობით, თუმცა გვიან (რაც იმას უნდა მიეწეროს, რომ უმრავლესობას კისერზე სქელი ქონი აკრავთ და ჩქარა სიარულს უშლის), მაგრამ მაინც იკრიბებიან ქალაქის საბჭოში და ცეცხლს აფრქვევენ, მეხს ჰყრიან პირიდან და ქალაქის საქმეებს აკეთებენ. რომ ეს ასე არის, ეს დაამტკიცა 29 იანვრის კრებაზე ხმოსანმა ხუნუნცმა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ხუნუნცი მეტათ გამრჯელი და ქალაქის საქმეებისთვის თავდადებული კაცია, მაგრამ, როგორც სხვებს, მასაც ხშირათ უშლის ხელს კისრის ქონი. ბ-ნა ხუნუნცმა ამ კრებაზე საშვილიშვილო საქმე გააკეთა, მან დაიხსნა ჩვენი ქალაქი დაღუპვისაგან. მან პირველმა აღმოაჩინა, რომ ქალაქის უძრავ ქონებათა შემფასებელნი საქმეს არ აკეთებენ, ცუღლუტობენ, რომ საჭიროა ქალაქის გამგეობამ დაუძახოს მათ და ყველას ყურები დაგლიჯოს. ეს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ბ-ნ ხუნუნცს. მან მათემატიკური სიზუსტით დაამტკიცა, რომ ერთ პარტიას შეუძლია დღეში ათი სახლი დააფასოს, ნამდვილათ კი სამს და ოთხს აფასებენ. ეჭვი არაა ბ-ნმა ხუნუნცმა ეს თეორეტიულათ გამოიკვლია თავის კაბინეთში. ან იქნება ბ-ნ ხუნუნცს ეგონოს, რომ სახლის შეფასება შეიძლება მისი კაბინეთიდან, შეიძლება ის თავის თფილ კაბინეთში იჯდეს სოლოლაკში და იქიდან ნავთლუღში სახლი შეაფასოს, მართალია მის ხელთ იქნება ტელეფონი, მაგრამ ჯერ-ჯერობით შესაძლებელია ტელეფონით მხოლოთ ლაპარაკი და რაიმე ნივთის დანახვა კი არა. რომ უფრო მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული ბ-ნ ხუნუნცის თეორიული გამოკვლევა, ამისთვის აუცილებლათ საჭირო იყო მისთვის იმ ადგილებისკენ გასეირნება, საცა დამფასებელი პარტიები მუშაობენ. რომ ეს ასე მომხდარიყო ბ-ნი ხუნუნცი მაშინ შემდეგ შესწორებებს შეიტანდა თავის გამოკვლევაში: რომ დამფასებლები პატიოსანი ხალხია, მათ აინტერესებთ ქალაქის საქმეები, რომ თავიანთ მოვალეობას სინდისიერათ ასრულებენ, რომ მათ ხშირათ უხდებათ სადმე ქუჩაში ჩამოჯდენ და გათოშილ ხელებით სწერონ, დაათვალიერონ ისეთი კუნჭულები, სადაც ბ-ნ ხუნუნცს გული წაუვიდოდა, ხუთი საათის განმავლობაში მკაცრ სიცივეში იარონ და სხვა. ყველა ეს რომ თავის მშვენიერი თვალებით ენახა, ქალაქისთვის თავდადებულ ხუნუნცს (მხოლოდ საბჭოს დარბაზში) მაშინ ის სულ სხვა ჰანგზე დაიწყებდა სიმღერას, მაგრამ რას იზამთ, როცა ქალაქის საქმეები მოსვენებას არ აძლევს, ძილს უფრთხობს, გული ეთუთქება. მაშ რა ქნას ასეთ შემთხვევაში, თუ საბჭოს დარბაზში მაინც არ აღიმაღლა ხმა, რით დაამტკიცოს, რომ ისიც იღწვის, ქვეყანას აშენებს, ქალაქის მცხოვრებთათვის გული შესტკივა, როცა... როცა მომავალი არჩევნები კარზე გვადგია. მით უმეტეს, როცა თოთხმეტი დამფასებელი ყელზე დასდგომია.

—

თუ ბ-ნ ხუნუნცს თოთხმეტი დამფასებელი ადგია ყელზე და კიდევ ასეთი სიძლიერით ცთილობს მათ შემუსვრას, სამაგიეროთ გაზეთ „ზაკავკასკაია რეჩ"-ს კ. ნიგოითსკი გაჩხირებია ყელში და საქმეს უპირვრებს. როგორც „ზაკ. რეჩი" გვაუწყებს კ. ნიგოითსკი მისი წინაპრის გამოზრდილგამოწრთვნილი ყოფილა. შემდეგ თავის პატრონისთვის თავი დაუნებებია, „ტიფლისკი ლისტოკ"-ს შეკედლებია და იქიდან აყრის ყუმბარებს. „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავათ ზრდილი"-ო, თუ, ამ შემთხვევაში, კ. ნიგოითსკი ცუდათ იქცევა და რაიმე დანაშაულობას სჩადის, საცემი არის „ზაკავ. რეჩ"-ი და მისი წინაპრები, სადაც ნიგოითსკიმ მიიღო სამწერლო სწავლა-განათლება. ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში თუ რა დანაშაული მიუძღვის ნიგოითსკის „ზაკ. რეჩ"-ისა და საზოგადოების წინაშე, დეე ეს თვით „ზაკ. რეჩ."-მა გამოიკვლიოს. მხოლოდ მეტათ გვაკვირვებს ერთი გარემოება, თუ მართლა ნიგოითსკიმ ასეთი მიუტანელი ცოდვა ჩაიდინა, ნუ თუ „ზაკ. რეჩ."-მა სხვა საშუალება ვერ გამონახა, რომ ასეთი უხეირო ლანძღვა-გინება არ დაეწყო. „წითური ბიჭი" „75 მ. მოსყიდული" და სხვა ასეთი ეპიტეტებით მოწინააღმდეგის პასუხის გაცემა ყოველივე ლიტერატურულ ეთიკას მოკლებულია. რამდენათ შესაწყნარებელია ბ-ნ ხუნუნცის საქციელი, იმდენათ შეუწყნარებელი და მიუტანელია „ზაკ. რეჩ"-ისთვის ბრძოლის ასეთი საშუალება.

—

არც ის არის შესაწყნარებელი, რომ ქალაქის საბჭოს არა ერთ და ორ კრებაზე ქალაქის თვითმმართველობის მთავარ ბუჰხგალტერ დანდუროვს არა ერთხელ და ორხელ ტყავი გააძვრეს. რა მოხდა ისეთი? რა დანაშაულობა ჩაიდინა ბ-ნმა დანდუროვმა, რომ ქალაქის ხმოსანთა უმრავლესობა მის წინააღმდეგ ამხედრდა, ზოგი უნიჭოს ეძახის, ზოგი უტვინოს და ზოგიც მოითხოვს მის სრულიად დათხოვნას? სრულიად უბრალო, უმნიშვნელოთ. ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ყოფილა ორმაგ ბუჰხგალტერიის შეღება, ამისთვის კი საჭირო ყოფილა 2000 მანეთი, ეს კი იმიტომ ყოფილა საჭირო, რომ ბ-ნ დანდუროვს ბუჰგალტერია ისე სცოდნია, როგორც მე ჩინური ენა, ამისთვის კი საჭირო ყოფილა დანდუროვმა ბუჰხგალტერია შეისწავლოს, ხოლო ამისთვის კი 2000 მანეთი. მე რე რა აქ ის გასაკვირი? 31 იანვრის კრებაზე ხმოსნებმა ყოველივე ეთიკას გვერდი აუხვიეს და ბ-ნ დანდუროვს უკადრისი სიტყვები აკადრეს. მაგრამ არაფერი, თუმცა ხმოსნები ილანძღებოდენ, სამაგიეროთ ბ-ნი დანდუროვი გულმაგრათ შეხვდა მათ იერიშს, მათ პირდაპირ იჯდა, ყველას თვალებში უყურებდა და ერთხელაც არ გაწითლებულა.

—

მერე რა გასაკვირია უბრალო ბუჰხგალტერი დანდუროვი, რომ არ გაწითლდეს, როდესაც 1 თებერვალს სახაზინო თეატრში ლექციის კითხვის დროს არც პროფესორი ჟურაკოვსკი გაწითლებულა. სად ბუჰხგალტერი და სად პროფესორი, შესაძლებელია ბუჰხგალტერმა ბუჰხგალტერია არ იცოდეს, ხმოსნებმა ის გალანძღონ და არ გაწითლდეს, მაგრამ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ არ უნდა გაწითლდეს პატივცემული პროფესორი, როდესაც ის სცენიდან ბოქაულს ეძახის ჩააჩუმოს ხალხი. თუ პროფესორ ჟუკოვსკის არ შეეძლო უბოქაულოთ გაძღლება და ისე ძალიან შეეყვარებულია მასზე, იმ შემთხვევაში კამათის ნებაც არ უნდა მიეცა ხალხისთვის და თუ მისცა ბოქაული აღარ უნდა შეეწუხებია. ან და უკანასკნელ შემთხვევაში მარტო პოლიციელები უნდა მოეწვია თეატრში და მათთვის გაემართა ლექცია, რადგან უკანასკნელ ხანებში გოროდოვოებს შორისაც ძლიერ გავრცელდა თვითმკვლელობა. ასე, რომ მოქცეულიყო პატივცემული პროფესორი ერთათ სამ კურდღელს დაიჭერდა: ფრიად სარგებლობას მოუტანდა გოროდოვოებს, შემცირდება მათ შორის თვითმკვლელობა, კამათს აღარ დაუწყებდენ და ნერვები აღარ აეშლებოდა.

# ღ ე ლ ვ ა.

(ნაწყვეტები)

„სიცოცხლე ბრძოლა არ ებობისოვის
იქვე იწყება, სადაც თავდება!»
ვ. რ.

მქრალათა,
მწყრალათა,
ცასა სძინავს,
ზღვასა ჰყინავს;
სულის რწმენასა,
გულის ტკბილენასა...
არ სჩანს დასაბამი.
ჰფიქრობს დრო და ჟამი.
იწვება გრძნობის გული
იქვისგან გათანგული...
კარი დახშულა, — მოდის დრაკონი, —
ბნელეთის მეფე და კერკეტონი!..
კვდება,
თავდება,
არ თენდება,
არ გადაწყდება:
ქვეყნის იმედები,
სიცოცხლე გადამდები,
მიზანთა თანამდები
და რწმენა ცეცხლ მომდები..
ცხოერების დაფი
დაჩლუნგდა ტყდება;
არსების ძაფი
გაცვდა და წყდება...
აი, ღოლფონი
მიწას ასკდება;
არ არის ფონი —
ყოფნა ჩაკვდება..
აზვავდა მდინარე
და ტალღა მძვინვარე
გადმოახეთქა;
სიცოცხლე მძინარე,
ბურანში მგმინარე,
ელდით გახეთქა...
ტალღა მოქუხს,
სკდება...
და სული სწუხს...
კვდება!

II.

...უცებ გათენდა
და დღე დამშვენდა;
ცა გააელვა:
ზღვა ააღელვა,

შეატორტმანა,
ცოდვა მოჰბანა.
ააღორძინა,
გულს აცნობინა
უკვდავი ბინა;
კვლავ გაუცინა,
გაათამამა
და გააცოცხლა
გრძნობა ამ ხმამა..
მეორეთ მოსვლა
სცნო გულის თქმამა.
მეყვსათ, მენთქვესვე
აღითქვა ყველა;
დამტკიცდა დღესვე
დახსნა და შველა...
წამს ირღვეოდა
გულის სადგოლი
და იმსხვრეოდა
ბორკილთა რგოლი;
სულის რწმენასა,
გულის ტკრცენასა,
ისმენდა სმენა,
იტყოდა ენა...
ნავის უფალი,
თავისუფალი,
სატრფო ტალღებთან
გადასცურავდა;
მზეცა ბრწყინავდა,
არა ჰყინავდა
და ნაოსნებთან
სხივსა სწურავდა
ეს იყო დღეობა,
ან იგივეობა—
სიცოცხლის ალისა;
ხმა ეტლოვანი,
ხმა ცეცხლოვანი,—
ძალთა-ძალისა;
ცრემლების მომწშენდი
ტანჯულთა თვალისა,
ხსნის წინამორბედი
დღე და ხვალისა...

გაიხსნა ტანჯვა და მოთმინება,
სიკვდილს წაუხდა მყის გემოვნება;
დაიწყო ლიბო-კვარცხლის შენება,—
იქ შრომა იყო თვით მოსვენება,
ვერ ედრებოდა მას თვით მშვენება,
არც იყო იგი ჩრდილ-მოჩვენება...
ეს იყო ძალა, სტიქიონური,
თავისუფალი, არა მონური,
იქ, ხმა ისმოდა ლეგიონური,—
უკვდავს უსმენდა მოკვდავის ყური...
არსება-ყოფნის ტალღათა ძგერა,
ცხოვრების ზღვიდან ამოძახილი;
გათენებული ბედის სიმღერა,
შემართებული, მკვეთრი მახვილი...
დიდებულია, ვერ იტყვის ენა,
ქვეყნის გენიის გზნება—ტრფიალი,
იქ, თითქოს ხედავს გრძნობა და სმენა,—
ისმის საქვეყნო მძლავრი ტრიალი...
და... იქ ყველასთვის გული გულობდა,
ცა ანათებდა, ლაღათ ელავდა;
სიცოცხლე რწმენას მოციქულობდა,
ზღვა იმღეროდა, ტალღა, ღელავდა...
მზე მოსცურავდა ცეცხლ-ეტლოვანი,
იმედის გულის გასართობათა,
ალარა სჩანდა გზა ეკლოვანი,—
ან ვისა სწყინდა დასათმობათა...
კვალათ შეცდომა ვისა სჯეროდა,
როს დღის სინათლე ასე მღეროდა:—
— „ცასთან სამრეკლო დაიდგა—
მიწაზე უდგას ბჭენიო:
ტანჯულთა ნატვრის სიმბოლო,
კვარცხლ ბეკი, დასაბჯენიო...
ვხედავთ იმედის მწვერვალსა,
გასწორდა გადაღმართიო;
ზღვას გაეღვიძა იცინის,
ეტყობა მისამართიო.
აღსრულდა ბედის საქცევი,
გულის სათნევი ნებაო;
სიცოცხლე განხორციელდა,
უკვდავი შემეცნებაო!..

III.

... მზე მისცურავდა,
ესწრაფებოდა,
თითქო ზღვას უნდა
დასწაფებოდა;
ზღვა ირყეოდა,
ტალღას სტყორცნიდა,
მზეს ეხვეოდა,
მზესა ჰკოცნიდა...
უკანასკნელათ,
ვაი რა ძნელათ,
მზე, იქ, ღრმა გულში
ჩაეშვა მთელად;
ცა მოიღრუბლა
შავად და ბნელათ,
შემაზრზენელად,

შიშის მომგვრელათ...
ზღვა გულ-მდუღარე,
ზღვა პირ-მქუხარე,—
აზვავებული;
კვლავ დიდროვანი
ხმა ზრახოვანი,
გალომებული;
ზვირთების ზრზოლით,
ტალღათა სროლით, —
მოტკრიალებდა...
და თანდათანი,
ვით მეხ-ტატანი,
შეჰღრიალებდა...
და შესძახოდა,
შეჰფოფინებდა,
თითქო სამდურავს
ატყობინებდა;
თითქოს ჭრისხავდა,
თითქოს ჰკიცხავდა,
თანაც ჰკითხავდა, —
და შეჰლმუოდა,
თუ ვისგან მოხდა,
მზე ვისგან მოკვდა,
ცოდვა ვის მოხვდა,
ვინა სტყუოდა!!!
ზღვას დიდებულსა,
შემართებულსა,
აღმოხდა ფეთქა ..
თითქოს კვდებოდა,
სული ხვდებოდა, —
ემზადებოდა,
რომ ერთხელ თუნდა
იგი რაც უნდა
მას აღმოეთქვა
ცეცხლის სიტყვებით...
მაგრამ ეს ჯავრი,
კვლავ წყრომა მძლავრი,
უსიტყვო მსჯავრი, —
ცას შეახეთქა
თავდავიწყებით ..

ცა შეიმურა,
ცა შეიგრაგნა, —
არ დაიყურა
ზღვის ამოთრაქნა, —
და ზღვის ნაბრძოლი,
ტალღა ნაძრწოლი,
მისთვის ნასროლი, —
უკუ დაიქცა...
ღელვა ნჩქეევითა,
მღვრევა ნჩქლევითა,
ძალთა ძლევითა,
ზღვაში ჩაიქცა!..

**ვ. ტუქსიშვილი.**

(დასასრული იქნება)

---

## მამა თეოფანე კი ტკბილათ სვრინავდა!..

(ეტიუდი)

ქარი ზუზუნებდა, დაჯრილ დიმეთ ღმუოდა და თავ კანწარულივით მომეხეთქებოდა კიდითი-კიდეს. თოვდა... თოვდა და თეთრ მანტიაში ახვევდა ტანჯულ დედამიწას. დალუკუმებული ცა კი, უფრო ბნელ დებოდა და შავდებოდა. ბალიასოთმი ღელავდა. ზღვას სანშინელი დრანტელი კუდიოდა და ნაზათ მოდიოდეე რიონის ზვირთები ურთერთს ეხეთქებოდნენ.

იქნებოდა დამის ორი ს

დეონტი და სხვები, „ადგილიდან არ იძვრიან, ამაო უნდა გადაწყვეტონ ეოფინა არ ეოფინის სკეპიისა, — სოფელი განსცდელიდან „დაიცვრონ. ელინეთს სული და გული ამოკენ რჩება. სახლში თუმცა შშვიდობით მიდის, ავსაშშეს და „ეგეს „კიდეც მაგრამ... ძალი არ მოსდის... შეოთავს... რადაც „ანასწორა გრძნობა არ „ასვენებს... თვალებს დულვსა... უნდა დაძინოს... ამ დროს ეუმბარის კრიალი და ოოფეების „ჯახა-ჯუხი დაეურეუბენ ეეელადეფერს. ამ სიშინელ მოგონებაზე „შეკეთდების და ზეზე წამოეჯრება... თვალებს კოფეთეი აცვლებს... გრძნობაზე ვერ მოსულა... ამ ეოფეში დიდ-სანს რჩება... როცა სინათლე მოსდის და თავს ახწევს სულიერ ტანჯვას, თვალ-წინ უდგება წარსული უბედურება: როგორ დაეცა ამისი მამა ბრძოლის ველზე მტრის ტყვეაით განგმირული, როგორ მოსტაცეს დეონტი და გადასახლეს შორეულ ტიმბიოში, როგორი სასოწარკვეთილებაში ჩავარდენ ეეელა ამის შემდეგ მისი ბატარა და-ძმა და სიბერალო „დედა, როგორ მოხდა ისიც აქ და... რა მდგომარეობაში არის ეხლა?.. სახეზე ხელი შემოიკრა, მოწეეეტით დაეშვა ისევ ტახტზე და ქვითინი მორთო. რამდენიმე ხნის შემდეგ შეკრთა, გაეაღრეოდა და წამოეარდა:

— არა, არა!..— შესძახა ანგარიშ მიუტემდათ.— ჩემს სიმხდალესა და სიალაჩრეს სიზდეარი უნდა დაედეეს... განა დირს „ია „ჩემი სიტოტხლე?.. სიტოტხლე ნამუს-ანდალი და კეუბატიურებულისა?.. მართალია მე დამნაშეეე არა ვარ... ჩემზე ძალა ახმარეს... სწორეო წუხელის ამ დროს დამიდგა თვალები... სწორეთ ამ დროს კიამარჯვა მხეტმა ფაქიზ და წმინდა გრძნობაზე... მაგრამ მე ჩემს დეონტის პირდაპირ მაინც ვერ შეხედავ. მისი ვეკეტური თავ-მოეეარეობა შელახულია, მიწასთან გასწორებული... იმის ადსდგენად მსხვერპლია სიკეთრა და მოსიეეარული ეულიც ამ დროს უკან ვერ დაიხევს... მაშ რას უცდი? ამ ჯოჯოხეთურ დამეში „თუ ზდვამდის ჩასწე�d კამიეწირდება, რომ მის აკორებულ ტალღებს ჩაეეხეთ, კაპარჭანა ხომ ახდა? მართალია ის ამდორებული და უმოძრაო, მაგრამ, არ ძალ-ეეძს განა ბოდო მომიდის?.. კარები გაადო და გარეთ უნდა გასულიეო, რომ წინ მამა თეოფანე შემოეჩეხა, ხელი მოხვია გათეორებულ ეელინეთს და მძლავრად მიაკრა გულზე.

— „მხეტო, მხეტო“-ო შეკეთდა სიბრალომ და რაც ძალი და დონე ქონდა კიაბრძოდა, რომ განთავისუფლებულიეო.

— „ნუ, ნუ ჯავრობ ჩემო შშვენიერო, შენ თუმცა გოგო და ჩემი მონა-მოსამსახურე ხარ, მაგრა დიდი ხარ ალერსის და სიეეარულისა დიდი... დუდდუდებდა მამა თეოფანე და განუწყვეტლივ დოშნად მისი ყინის მოსაკლავ უმწეო მსხვერპლს. ელინეთმ კვლავ სტადა განთავისუფლება და საკმაოთ ჩამოაბლუჯა სულიერ მამის გრძელი წვერები, რომელიც სიშინელ ტკეთვლისაგან კვლეთეთ დიაკლაკენა. ამ დროს ტოტალი ხელ-შეშეებულ ელინეთმ თავს „უშეველა. მამა თეოფანე წუთიერ თავ-დაეწყვების შემდეგ უკან გამოუდგა, — მაგრამ კვეთ და ეეო... ის ჭიშკარს „უკვე განტდენოდა.

ბალიანტიმის შტოს, კაპარჭინის, გაეაეორებული ქარი მოხარე „ჭირისუფალთეთ დაკენესოდა, მის ჩასკვარამეობულ ნაბარების ეინეთ ნაბერწკლების „ორქეეეა და მოჩვენებასავეთ კამოქანდაკებულ არსებას, რომელიც ტიეზე შემდგარი ზეცის ვეკრებიეთ შესტაქერად, „სუსხის მანტიანს ახვეეეა... მხარზე აშლილ დალალების უნაკვეთ. — „შშვადობით დედა, სეეგარელო და-ძმა... და შენც ჩემო დეონტი, ჩემო სულის სიუნჯეეა... მაპატიეთ ეეელამ, თუ კი რამ შეგტოდეთ და გაწყენინეთ... ჩემო დეონტი, არ იფიქრო მე შენთვის მედალტნოს... არა ჩემო სიტოტხლეეა... მე არ დამირდეეეთ სულიერი სიწმინდე... მე შენ მიეკარდი, მიეკარდი და სწორეთ ამან მომიეკანა ამ სიშინელეობამდის... დმერთო ხომ უწეი რომ... მაგრამ... ტუნეზე დამცინაეთ დამმა გაეკრთოდა. ის უცბად გადაეშვა... დასვალეთის ქარმა კვნესით გადაეკრთდა მდინარის ზედაპირს... მორდეეული ეინეთ ნაწრეა ისევ შეკერთ-შეადეა. ჭაერში სიკეადილის ცელმა კიაბრიალა. ცა-ზიადულ დემონის ერუ ხარხარმა მოიტა არე-მარე...

მამა თეოფანე კი ტაბიალად ხვრინავდა!..

**ბ. პელაშვილი.**

---

# კვლავ „სძინავს..

მშობელი ქვეყნის ცის კაბადონი
შავ-ბნელ ღრუბლებსა შეუწონია,
ძველი სიმღერა ალარ გაისმის,
ყველა ნწარე ძილს დაუმონია.
ჰე, მხარეე, მხარეე,
შენ შემხედავარეს
გული მიკვდება,
ცრემლს ვღვრი მდუღარეს.
მარქვი ფიქრთ ქსელნი
განუსაზღვრელნი
როს გადგეყრება—
გაგელვიძება?
როდის იქნება
შენს ძუძუ-მკერდზე
ააყვავილებს
ჩამჭკნარ იმედს მზე?
არსით პასუხი... სოფელს კვლავ სძინავს...
სევდის ბორიო თავს დასისინებს;
შავათ დათალხულ ჩემს ტლუ ჩანგზედაც
საგოდებელი კვნესის... ქვითინებს.

**დ. თურდოსპარელი**

---

# საბედისწერო ჩუსტები

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდან).

I.

ექვთიმე წკირაძე სოფელ ზემოქედში ძალიან ღარიბ გლეხათ ითვლებოდა. მის ქონებას შეადგენდა ერთი ქცევა, გამოფიტული მიწა, ძველებური, სახურავ დახავსებული სამზარეულო სახლი და წნელით მოღობილი ნალია. ექვთიმე წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი იყო: მას ჰყავდა ხუთი უწლოვანი შვილი; ერთი მათგანი რომ წაქცეულიყო მეორე ვერ წამოაყენებდა. ექვთიმეს და მის ცოლს ირინეს მეტათ აწუხებდა სხვათა შორის ის გარემოება, რომ ერთი ვაჟი არა ჰყავდათ. ეს გარემოება არც ექვთიმეს ახლო ნათესავებსა და მეზობლებს ჰქონდათ სასიამოვნოთ და ებრალებოდათ ექვთიმე, როგორც ჯარი გოგოების პატრონი და მასთან ღარიბი კაცი. მეზობელი ქალები, როცა ფეხმძიმობას შეამჩნევდნენ ირინეს ხუმრობით და მასთან გულწრფელად ეტყოდნენ: „ბეჩა არ ამოგვაგდო, გოგო არ გაიკეთო კიდომ-ო“. როგორც კი გაიგებდნენ ირინეს მორჩენას, პირველ შეხვედრისათანავე ეკითხებოდნენ ექვთიმეს, რა შეგეძინაო. ექვთიმეც გულდაწყვეტილი უპასუხებდა: „რაი და გომბიე დასწყეველოს ღმერთმა მისი სახსენებელი“. — სიტყვა „გომბიო“ ექვთიმესა და სხვების აზრით ნიშნავდა გოგოს და, ამიტომ ყველა ადვილად მიხვთებოდა ექვთიმეს პასუხს. ზოგი, მეტადრე ქალები, საშინლად გაიოცებდენ ამ ამბავს და თანაგრძნობის ნიშნად ანუგეშებდენ ექვთიმეს. „გაგიზარდოს ღმერთმა. ყველაფერი ღვთის ნებაა, ვითამ გოგო და ბიჭი ვინ გაარიგაო“.

ზამთრის სუსხიანი ღილა იყო. საშინლათ ციოდა ექვთიმეს გოგოები ნახევრად ტიტვლები, სიცივისაგან კან დალურჯებულნი მიბჟუტულ ცეცხლს შემოსხდომოდნენ და ერთი ამბავი ჰქონდათ: თვითოეული მათგანი იმას სცდილობდა, რომ გასათბობათ კარგა ალაგი დაეჭირა ცეცხლის პირას, და ერთი მეორეს ეწეოდენ აქეთ იქით. უეცრათ ექვსი წლის ელპიტა ხის დაბალ სკამიდან გადმოვარდა და საცოდავათ ტირილი დაიწყო. ცოტა ხანს შემდეგ წამოდგა, მივარდა დასთან, რომელმაც სკამიდან გადმოაგდო და თავის პაწია ხელებით ცემა დაუწყო.

,,ჰო გინდა ისე!'' გამარჯვებულის კილოთი წარმოსთქვა მან, როცა ცემით გული იჯერა და ისევ ცეცხლისაკენ წაიწია.

— ნენა, არ დამაყენო!— შესჩივლა დედას პატარა ფედოსიმ, რომელმაც დისაგან ცემა ისე აიტანა რომ, ერთხელაც არ შეუბრუნებია ხელი, რადგანაც ცეცხლთან ალაგის დაკარგვისა ეშინოდა.

ირინემ, ის იყო ამ დროს, გარედგან შეშა შემოიტანა, დაალაგა სახლის ერთ კუთხეში და სიცივისაგან გაშეშებულ ხელებით მტვრევა დაუწყო.

— გაჩერდ-თ ცავ, მომათქმიეთ სული კისერში!— დაუყვირა მათ სიცივისაგან გამწარებულმა ირინემ.

ის იქნებოდა ასე 35 წლის ქალი ძველს, უბრალო ჩითის კაბაში გამოხვეული ის რაღაც საცოდავ არსებას წარმოადგენდა. უდროოთ დანაოჭებულ და გაყვითლებულ სახეზე მწუხარებისა და ტანჯვა ვაების ბეჭედი ეჭვა. ეტყობოდა ცხოვრებას მისთვის დედინაცვლობა გაეწია და ბევრი მწარე სამსალა შეესმია.

— კი მოვა მამაშენი, კი!— დაუმატა მან ბავშვების შესაშინებლათ და ნაღვლიანათ კარებისაკენ გაიხედა, მაგრამ ექვთიმე ჯერ არსად სჩანდა.

— ვაი' სულო, ქფილს მეიტ ნს!— სიხარულით წამოიძახა ექვთიმეს უფროსმა ქალმა ანეტამ და კარებისაკენ გაიქცა.

— არა ცავ, შენ უბედურო არა, მე ისე ვთქვი წადი დაჯედი იქ და საცაა მოვა,— დაიმედა დედამ შვილი და ცეცხლს შეუკეთა.

— გასწით ფეხები იქით თვარა დაიწვებით, აჰა, მევიდა ნაღვერდალი— შეაშინა ირინემ შვილები რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ისე მათ ვერაფერს შეასმენდა.

ბავშვებს მართლაც შეეშინდათ და უკან დაიწიეს ირინემ დააყარა შეშა ცეცხლზე და კეცის მოსატანად კუთხეში მივიდა. ,,ეგება ქე მეიტანოს იმ უბედურმა ფქვილი და კეცს მაინც გახურებულს დავახვედრებ'', — გაიფიქრა მან, როცა კეცს ადგამდა. ბავშვებს ღილიდან არაფერი ეჭამათ პატარა ციცვი, დაობებული მჭადის ნატეხის მეტი. ისიც რაღაც შემთხვევით იპოვნა ირინემ განჯინის კუთხეში მიგდებული და ბავშვებს დაუნაწილა. ექვთიმე ამ დროს ფქვილისათვის იყო წასული. ის ღილა ადრიან წამოდგა საჩქაროთ გაუყარა ხელი დაკონკილ ახალუხში, თავზე დაგლეჯილი ჩაბალახი წაიკრა, ფეხებზე სანახევროთ დაფლეთილი ქალამნები ჩამოიცვა და გასწია მეზობლებში, იქნება ვინმემ ერთი ფუთი სიმინდი მასესხოსო.

— თუ ვიშონე პირდაპირ წისქვილზე წავალ, — უთხრა მან ცოლს წასვლის ხანს.

40 წლის კაცი იყო ექვთიმე წკირაძე. ამ ხნის განმავლობაში მან არ იცოდა რა იყო მოსვენება. ის მუდამ შრომობდა და ერთხელაც არ გაუხარია, არ ამოუსუნთქია თავისუფლათ. დღესასწაულებზედაც კი ვერ შეამჩნევდით ექვთიმეს სხვებსავით მხიარულებას; ის მაშინაც დაღვრემილი, დაფიქრებული და დანაღვლიანებული იყო. ოჯახზე ზრუნვა და

ფიქრი მას ძილშიაც მოსვენებას არ აძლევდა. როცა მეტათ გაუჭირდებოდა ექვთიმეს, ან გადასახადიზა მოაძალებდენ, ან სხვა რამე ოჯახის მოთხოვნილება შეაწუხებდა უკანასკნელ საშუალებას მიმართავდა. ამოიღებდა თავის ძველ ხურჯიხს იღლიაში და ჭისკრისაკენ გაბოდა. სახლში არც კი იტყოდა სად მიდიოდა.

— სად მიხვალ?—მიაძახებდა განცვიფრებული ირინე ქმარს, როცა მას მიმავალს დაინახავდა.

— მე აგერ მივალ ,,სტანციაზე'', ხალამპრეს შევეხვეწები და ეგება სამუშაო ვიშოვო. —უპასუხებდა ექვთიმე.

ხალამპრე, ექვთიმეს მეზობელი შეძლებული გლეხი იყო, რომელიც მახლობელ რკინის გზის სადგურზე მოიჯარადრეთ იყო. მან კარგად იცოდა ექვთიმეს ოჯახის გაჭირვება და ამიტომ ხშირად აძლევდა სამუშაოს.

— აწი ვერ იტყვი მერე შენ უბედურო? მჭადს მაინც გამოგიცხობდი —ეტყოდა გულ დაწყვეტილი ირინე ქმარს.

— არაფერი არ მინდა, თქვენ იყავით ჭკუით, მარცხი არ ქნათ,—გააფრთხილებდა ექვთიმე ცოლს ისე რომ უკან არც კი მოუხედავდა.

გაჭირვებამ ადრე დაავიწყა ექვთიმეს ცოლთან ალერსი და სიყვარული. ეს ნაზი გრძნობა ეხლა თითქმის სამუდამოთ გაწყვეტილიყო. მისი ალაგი დიდი ხანია ოჯახზე ზრუნვას დაეჭირა. აბა სად ეცალათ მათ იმისთვის, რომ ერთმანეთის საყვარულით დამტკბარიყვნენ, როცა ყოველ დღიურ ლუკმაზე ზრუნვა ყველაფერს ავიწყებდათ. ექვთიმე ხშირად დადიოდა აგრეთვე რკინის გზის იქით 18—20 ვერსის მანძილზე ვიღაც მემამულეს ტყეში, საღაც ის სხვა გლეხებთან ერთად ქირაზე შეშას სჭრიდა. ხანდა ხან დიდი ტანჯვა ვაების შემდეგ გამარჯვებული ბრუნდებოდა ექვთიმე სახლში. ირინეს დღესაც ახსოვს ის სიხარული, რომელიც მან იგრძნო ერთ ხელ საღდგომოთ, როცა ექვთიმე 15 დღის შემდეგ ,,შეშის საჭარიდგან'' დაბრუნდა წითელი თუმნიანი მოიტანა და ცოლშვილი ჩამოსა.

რადგანაც ექვთიმეს საყანე მიწა ძლიერ ცოტა ჰქონდა, ის მუშაობდა ადგილობრივ თავადის მიწაზე, აუტანელი შრომისა და ათასი დამცირების შემდეგ შეიძლება ექვთიმეს წლის სარჩო სიმინდი მოეწია. მას ხელს უშლიდა ხელს აგრეთვე ის რომ ხარები არ ჰყვანდა მართალია ექვთიმეს ამ ერთის წლის წინად ჰყავდა ცალი ხარი, რომელსაც მეზობლის ხართან ამუშავებდა ერთად, მაგრამ გაჭირვებამ ისიც გააყიდვინა. რაც უნდა ყოფილიყო შრომა ღაუზარებელი ექვთიმეს ასე ადრე, როგორც წელს, არ შემოაკლდებოდა სიმინდი, მაგრამ მისი საქმე ეხლა ორმა გარემოებამ დაღუპა ერთი ის რომ წელს მოსავალი სხვა წლებთან შედარებით მეტათ ნაკლები მოვიდა. მეორე შემთხვევა, რომელმაც სრულიად გამოაცალა ხელიდგან ექვთიმეს მისი სარჩო საბადებელი, იყო სოფელ ზემოხეთის მამასახლისის მოკვლა. მთავრობამ ამ მკვლელობისათვის გაძვალტყავებული საზოგადოება ჯერ რამოდენიმე ათასი მანეთით დააჯარიმა, დაუნიშნა ჯამაგირიანი მამასახლისი ხუთი დარაჯით და, შემდეგ ეგზეკუციაც ჩაუყენა. ყველა ამაების ხარჯი მთავრობამ საზოგადოებას დააკისრა. ბევრის ოჯახი დაარბიეს და აიწოკეს ამ ხარჯების აკრეფის დროს, ჯერი ექვთიმე წკირაძეზედაც მიდგა მას უნდა გადაეხადა 15 მანეთი. ექვთიმემ აღარ იცოდა რა ექნა, სადეშოვნა ასეთ გაჭირვების დროს და ასეთ ულუცებ ადვილად არავინ ენდობოდა.

—მომითმინეთ შენი ჭირიმე ცოტა...სამ კვირაში მოგართმევთ: წავალ საცხა სამუშიერად... ან ავისესხებ... ეუბნებოდა ექვთიმე მოსულ დარაჯებს და სოფლის მოხელეს.

— რას ქვია მოითმინე ყაძახო!—დაუყვირა მას დარაჯმა, მათრახი გადაჰკრა ზურგზე, გაუკრა უკან ხელები და სოფლის სამმართველოსკენ ცემით წინ გაიგდო. ექვთიმეს ცოლშვილის, გულშემზარავი — ტირილი გულ ქვა ადამიანსაც კი სიბრალულს აღუძრავდა. დარაჯებმა ექვთიმე მიიყვანეს სოფლის სამმართველოსთან. აივანზე მედიდურათ გამოდგა მთავრობის მამასახლისი და როცა გაიგო რაშიაც იყო საქმე, ჯერ ლანძღვა დაუწყო ექვთიმეს და შემდეგ უმოწყალოთ გაამათრახა. ექვთიმე ტკივილებისგან იკლაკნებოდა

— დამაცადეთ თქვენი ჭირიმე, —თვალცრემლიანი შეემუდარა ის—დამაცადეთ თქვენი ჭირიმე.. სიმინდს.. სიმინდს გავყიდი... ხვალვე,.. დაგაკმაყოფილებთ...

— სიმინდს? შენ არამზადავ სიმინდი თუ გქონდა რათ არ უთხარი ამათ?—დაუყვირა მამასახლისმა და დარაჯებს უბრძანა:—წაიყვანეთ ეხლავე ეს თავის სახლში, დაჯექით იქა და ფეხი არ მოიცვალოთ სანამ სიმინდი არ გაყიდოს და ფულები არ ჩაგაბაროს!...

ბრძანება ასრულებულ იქნა: ცოცხალ მკვდარმა ექვთიმემ გამოართვა მეზობელს ხარი და ურემი, დააყარა ზედ წლის სარჩო სიმინდი და მახლობელ დაბაში გასასყიდათ წაიღო იქ კი როგორც გაიგეს ჩარჩებმა რაშიაც იყო საქმე, სულ მუქთათ მოინდომეს სიმინდის ხელში ჩაგდება. დიდი დავიდარაბის შემდეგ, როგორც იყო, ათ ათ შაურში გაყი-

და ექვთიმემ ფუთი სიმინდი, გამოპრუნდა სახლში და დარაჯებს ფული ჩააბარა.

— რა გიჭირდა თავიდან გექნა აგრე რომ გაი მათრახე თავი ა?! ზურგი აგქავდა?—დაცინვით უთხრა უფროსმა დარაჯმა ექვთიმეს და ცხენს მოახტა

ამ ამბავს შემდეგ ჩაწვა ექვთიმე ლოგინათ და ერთ კვირას არ ამდგარა. მის ნალიაში ეხლა რაღაც ორი—სამი გოდორი სიმინდი იყო. ისიც მალე გამოეცალა და ექვთიმეს სახლობა უსიმინდოთ დარჩა.

**ანათემა.**

(შემდეგი იქნება.)

---

# მოწერილი ამბები.

(ჰროფინცია).

**ჭიათურა.** ამას წინეთ აქ, ჭიათურაში მოკლეს ახალგაზრდა წვრილ შვილის პატრონი ვლადიმერ ლომაძე. (ლადიმერ გურული იყო), ის აქ მოვიდა და სამრეწველო ფირმაში (ძმ. ოგანეზოვებისა) ნოქრად დადგა ამ თორმეტი წლის წინეთ, მისი მეზობლის გიორგი ლომაძის შემწეობით რომელიც დღესაც იმავე ფირმაში მსახურებს მმართველათ. 1901 წელს, მაღაროების მუშებში ხშირმა უბედურმა შემთხვევებმა აიძულეს სამთამადნო სამმართველო მოეთხოვა მრეწველთაგან, რომ ყველას ყოლოდა პასუხის მგებელი გამგე მუშაობისა—შტეიგერები და რადგან საკმაო რიცხვი შტეიგერებისა რუსეთში არ აღმოჩნდა, მრეწველთა საბჭომ დაარსა პრაქტიკული კურსები პასუხის მგებელ მმართველთა მოსამზადებლათ ვლადიმერი შედის ამ კურსებზე და იჭერს ეგზამენს, რის შემდეგაც ამავე ფირმას ის გადაყავს მადნებში. ამ დღიდან ის უახლოვდება და ეცნობა მაღაროს მუშათა მდგომარეობას. 1906 წელში ის გადადის უფრო მსხვილ ფირმაში (ფორუდის კომპანიაში), სადაც მას სპეციალურ პროფესიის გარდა ანდობენ ტაბელჩიკობას წასულ დეკემბერში, შაბათ საღამოს, როდესაც ის კვირის ნამუშევრის კვიტანციებს ურიგებდა მუშებს, წამოეპარა ვიღაც, ვსროლა ფანჯრიდან რევოლვერი და მოჰკლა. საზოგადოება ძალიან აღელვა ამ ამბავმა; შეიქნა მითქმა-მოთქმა. მუშათა კლასის მტრებმა (და როგორც ეტყობა მკვლელებმაც) არ დააყოვნეს და ეს საზიზღარი ვერაგობა მუშებს გადააბრალეს, მაგრამ მოსტყუვდენ საკოდავები: მათ ალბათ ავიწყდებოდათ ვინ იყო ვლადიმერ, რომ ასეთი ინსინუაცია მაზედ გაესაღებიათ.

ვლადიმერ იყო ბუნებით პატიოსანი, მოამხანაგე და შესამჩნევი მგრძნობიარე გულისა. დაუმატოთ ამას ის, რომ ვლადიმერ, წმინდა პროლეტარი და თაობიდანვე ჯამაგირით ნაცხოვრები და მივხვდებით, რომ ის ვერ აცდებოდა ჩაგრულ-გაცარცულთა სოლიდარობას. ასეც იყო: მაღაროს მუშებში გადასვლისათანავე, ძმა-კაცისათვის თავგანწირულის და მხანაგთა მოსიყვარულე ვლადიმერს გულს უმღვრევს ამ მუშების უმწეო მდგომარეობა და ცდილობს სიტყვით მაინც ანუგეშოს ისინი. ამავე დროს მის ყურადღებას არ ეპარება ბათუმ-გურიის ეკონომიური მოძრაობა და ცდილობს გაუზიაროს ცნობები და თავის შეხედულობა ამის შესახებ ადგილობრივ მუშებს. ის ამის მერე, როცა ეკონომიური მოძრაობა ადგილობრივაც გაძლიერდა, ჭირში და ლხინში მუშებს არ დაცილებია. 1906-ში მან დიდი ამაგი დასდვა ნოქართა პროფესიონალური კავშირის დაარსებას და არსებობას, რის გულისთვინ რამდენიმე თვე გაატარა ქუთაისის ციხეში.

საზოგადოებაში ხმები დადის, და მთავრობასაც განუცხადეს, თითქო ვლადიმერ მოეკლასთ მეტოქეობის ნიადაგზე: წვრილ ცოლ-შვილის პატრონმა ფეხმძიმე ცოლს გარდა ხუთი შვილი დარჩა) მოინდომა კერძო საკუთრების შეძენა და იყიდა ცნობილ გიორგი ამილახვრის ადგილი მისსავე გლეხთან საზიაროთ; ამ ადგილს შემუშტრა მრეწველი სიმონა კილაძე და ამილახვარმაც, მიუხედავათ იმისა, რომ ლომაძე და გლეხი გაფრინდაშვილი გარიგებული იყვენ და ბეც მიცემული ქონდათ, რაკი მეტი ფული დაინახა ადგილი კილაძეს მიეცა; სამაგიეროთ ლომაძემ მოახერხა და გზა არ მიაცემია ფორუდის კომპანიას კილაძესთვინ და ეს უკანასკნელი კი სხვა გზას ვერ შოულობდა; აქ მათ მოუვიდათ ჩხუბი და თურმე კილაძე პირში პირდებოდა ლომაძეს სიკვდილს და ვადასაც თურმე უდებდა -- შობას. კილაძე დაჭერილი იყო მაგრამ გაუშვეს. საზოგადოების წევრებმა სთხოვეს პოლიციას ნება მიეცა გამოეძია. მაგრამ უარი მიიღეს. საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესოა ამის გაგება თუ ვინ და რაზე მოკლა ლომაძე, მით უმეტეს, რომ ეს პირველი მკვლელობა არ არის აქეთ ამ ბოლო ხანებში, თუ ვინმემ რამე იცის ამის შესახებ, ადამიანის სიცოცხლის და ვლადიმერის წვრილი ცოლ-შვილის გულისთვის მოვალეა დაეხმაროს საზოგადოებას სიმართლის აღდგენაში.

ღ—ა.

---

# თეატრი

**ლექცია თვითმკვლელობაზე.** 1 თებერვალს სახაზინო თეატრში გაიმართა ლექცია თვითმკვლელობაზე. ილაპარაკეს ანდრეევმა, პროფესორმა ჟურაკოვსკიმ გ. გვაზავამ და მალხაზოვმა. საზოგადოთ ლექცია შინაარსიანი იყო. ლექტორებმა, რამდენათაც ძალა შესწევდათ, ეაცნეს საზოგადოებას თვითმკვლელობის ისტორია და ძისი გამომწვევი მიზეზე-

ბი. დასასრულ გაიმართა კამათი. ხალხი ბლომათ დაესწრო ლექციას და ფრიად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდებოდა, რომ ერთ გარემოებას არ ეჩინა თავი. როცა ლექტორებმა დაასრულეს თავიანთი სიტყვები პროფ. ჟურაკოვსკიმ წინადადება მისცა საზოგადოებას ჩაწერილიყვნენ ვისაც სურდა კამათი. ჩაწერა რამდენიმე კაცი. პირველათ ილაპარაკა ერმოლოვმა. მან ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზები თვით ჩვენშივე უნდა ვეძებოთო, დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, სკოლა-საიდანაც უმიდო, სასოწარკვეთილი ახალგაზრდობა გამოდის —აი ის მთავარი მიზეზები, რომლებიც იწვევენ თვითმკვლელობას. მისმა წრფელმა სიტყვებმა ხალხში დაუსრულებელი ტაშის ცემა და აღტაცება გამოიწვია. შემდეგ კიდევ ილაპარაკეს რამდენიმე პირმა დასასრულ ლაპარაკი დაიწყო სტ. ცხვედაძემ ხალხს მოეწონა მისი სიტყვები. თორმეტ საათს ათი წუთი უკლდა, ლექცია უნდა გათავებულიყო, პროფ ჟურაკოვსკიმ ზარი დაწკარუნა და ცხვედაძეს აცნობა შენი რიგი გათავდაო. გამოვიდა გ. გვაზავა ხალხმა მოითხოვა ცხვედაძეს ისევ განეგრძო ლაპარაკი. ასტყდა ჩოჩქოლი. პატივცეცულ პროფესორს, არავინ იცის შეეშინდა თუ ნერვები აეშალა, წამოდგა და სცენიდან ხალხს გამოუცხადა.

— ეხლავე ბ-ნ ბოქაულს მივმართავო.

— სირცხვილი თქვენი, ბ-ნო პროფესორო, პოლიციელს სიტყვას აძლეო.

მოისმა პარტერში ვიღაც სტუდენტის ხმა.

ფარდა უცბათ ჩამოეშვა, ხალხი აირია, სტუდენტი ბოქაულმა მიიწვია.

ასე სასიქადულოთ დასრულდა ლექცია.

**ქანდარა.**

—

**ჭიათურა.** 30 იანვარს ჩვენმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ტ. რამიშვილის სამ მოქმედებიანი დრამა—„ექიმი ამირბაჯიანი“. პიესა პირველათ დადგმის შემდეგ შეუკეთებია ავტორს. პიესის თემა ძველი ახალი ცხოვრების შვა ბრძოლაა, სადაც ძველი რჩება გამარჯვებული, პირველათ წარმოდგენის დროს კი პიესა ისე თავდებოდა, რომ ახალი რჩებოდა გამარჯვებული. მე არ ვლებულობ ჩემ თავზე პიესის გარჩევას, ხოლო ვიტყვი ჩემ შთაბეჭდილებას: პიესას შეცვლა-შემოშვებით მოგების მაგიერ თითქო წაუგიაავტორს. პიესის უმთავრესი სული ეხლაც აგიტაციონურია და ამას კი წინათ უკეთ ასრულებდა. პიესის შინაარსი აღებულია საავთმყოფოს ცხოვრებიდან, ეს ადგილი კი ამ თემისათვის ვიწროა მასალების მხრით. რასაკვირველია, რამიშვილიდან, წინანდელი დრამების მიხედვით მეტს ველოდით, თორემ პიესა თავის თავად ღირსია რეპერტუარში შეტანისა, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე უკეთესები ჯერ არ მოგვეველინა.

თამაშით ვერც ამ დღეს გაგვიმართლეს მოლოდინი, თუმცა არა უშავდა რა. განირჩეოდენ ბ ბ. გოგიბერიძე (გურგენ კასპარიანი, ბურჭულაძე (დუბინა) და გომელაური (ამგვეობის თავმჯდომარე). ესენი ყოველთვინაც განირჩევიან ხოლმე მოხდენილი თამაშით, სცენის მოყვარეების უმთავრეს ნაკლს ყველგან ის შეადგენს, რომ მიმიკით ვერ თამაშობენ, ესენი კი ამ ნაკლს არ იჩენენენ. განსაკუთრებით გოგიბერიძე და გომელაური. სამეგრეს სიკეთეში უნდა ჩაეთვალოს ისიც რომ შესაფერ როლებში გამოდიან ბურჭულაძეს აღტაცებაში მოვყავართ ხოლმე ქართლელი გლეხის როლში და გოგიბერიძეს კი სუთიძის როლში („მეზობლები“) ამას წინათ მოლოდინს გადააჭარბა. ვუსურვოთ წინსვლა და ხშირათ გამოსვლა.

წინსვლა ეტყობოდათ ამ დღეს ქ. ქ. საღარაძეს (ექიმი იდა) და ს. ჩხეიძეს (დუბინას ქალი), განსაკუთრებით მეორეს.

გვარიანი იყო მითაიშვილი აშირბაჯიანის როლში. კარგი იქნებოდა რომ როლი კარგად ცოდნოდა. ეს ნაკლი ამ დღეს ზოგს სხვასაც ემჩნეოდა და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ სუფლიორის ხმა ქანდარაზედაც ისმოდა.

ერთი შენიშვნა: აქტიორებს ხშირათ სჩვევიათ რეჩის დასასრულს ამა თუ იმ სიტყვის გამოტოვება ან გადაყლაპვით თქმა და ეს ჩვეულება ხანდახან დიდ ზიანს აძლევს პიესას. მაგალითად ამ პიესაში დამარცხებული აშირბაჯიანი რიხით ეუბნება მოწინააღმდეგეს: „თქვენს ძალას ხალხის ძალა წალეკავს და ეს პროცესი უკვე დაწყებულიაო“, რის შედეგად მიდიან ორივე ცოლქმარი სიტყვებით: „მაშ ჩვენც ხალხთან წავიდეთო“. ვინ იცის, რამდენი იწვალა ავტორმა, რომ პიესა ამ ორ უკანასკნელ სიტყვამდინ მიეყვანა, ვინ იცის რას ფიქრობდა, რა იმედს განიცდიდა ავტორი ამ სიტყვების დაწერის დროს. მითაიშვილმა საღარაძემ კი ეს სიტყვები აღარ გავაგონეს.

ღ—ა.

პირველ იანვრიდან გამოდის ეროველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# სალამური

**ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მანეთი თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.**

კორესპოდენციები, სხვა წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს, Тифлисъ Типографія „Шрома“ Мухранская, № 12, Теофилу Эрастовичу Болквадзе, для саламури

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**ზრომა**“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.